ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №78

2024 წლის 20 თებერვალი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ-ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. სამგორის რაიონში, დიდ-ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:491610 Y:4618037